ოქმი:**ო08. 3724269001**

თარიღი:**25/09/2024**

ოქმი № 14

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის სხდომის

2024 წელი, 23 სექტემბერი

ქ.ოზურგეთი

11.00 -11.30 საათი

თავმჯდომარეობდა: დავით ჭაკნელიძე- მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე.

ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ნ. ურუშაძე, ნ. მახარაძე, თ. ტუღუში, ლ. ბიგვავა, გ. ჩავლეშვილი, ალ. ღლონტი, გ. კილაძე, ალ. ბურჭულაძე, პ. სალუქვაძე, ბ. კილაძე.

სხდომის თავმჯდომარემ დ. ჭაკნელიძემ კომისიის წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: დავით ჭაკნელიძე

თანამომხსენებელი: თამარ ბაქანიძე

2. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების

პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: დავით ჭაკნელიძე

თანამომხსენებელი: თამარ ბაქანიძე

3. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. ოზურგეთში გამსახურდიას მოედანზე (ს.კ. 26.26.47.162 პარკის მიმდებარე ტერიტორია) მდებარე 7586 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან 12.8 კვ.მ. და ქ. ოზურგეთში ჭავჭავაძის ქუჩაზე (ს.კ. 26.26.47.337 ტროტუარი) მდებარე 686 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან 51.81 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების, სარგებლობის უფლებით გადაცემაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისთვის

თანხმობის მიცემის შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 31 ივლისის N44 განკარგულებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების შესახებ.

მომხსენებელი: დავით ჭაკნელიძე

თანამომხსენებელი: თამარ ბაქანიძე

კომისიის თავმჯდომარემ, დ.ჭაკნელიძემ, კომისიის წევრებს დღის წესრიგის პირველ საკითხზე მიაწოდა მოკლე ინფორმაცია, სრული ინფორმაცია გააკეთა თანამომხსენებელმა ავ. ჩხაიძემ, საკითხი იდგა საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებაზე, შენიშვნები და წინადადებები არ შემოსულა, კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს წინადადებას, საკითხი წარდგენილ იქნას საკრებულოს მორიგ სხდომაზე განსახილველად და დასამტკიცებლად.

კომისიის თავმჯდომარემ, დ.ჭაკნელიძემ, მოკლედ ისაუბრა დღის წესრიგის მეორე საკითხზე, კონკრეტული ინფორმაცია გააკეთა თანამომხსენებელმა ავ. ჩხაიძემ, საკითხი იდგა საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებაზე, შენიშვნები და წინადადებები არ შემოსულა, კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს წინადადებას განკარგულების პროექტი წარდგენილ იქნას საკრებულოს სხდომაზე განსახილველად და დასამტკიცებლად.

დღის წესრიგის მესამე საკითხზე თანამომხსენებელმა თ. ბაქანიძემ განაცხადა, რომ განკარგულების ტექსტში დაშვებული იყო ტექნიკური შეცდომა, რომელიც არსებული კანონმდებლობის თანახმად გასწორდა და შესაბამისი განკარგულების პროექტი წარმოდგენილი იქნა მუნიციპალიტეტის საკრებულოში. კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს წინადადებას განკარგულების პროექტი წარდგენილ იქნას საკრებულოს სხდომაზე განსახილველად და დასამტკიცებლად.

გადაწყვიტეს:

დღის წესრიგით წარმოდგენილი განკარგულების პროექტები წარდგენილ იქნას საკრებულოს მორიგ სხდომაზე განსახილველად და დასამტკიცებლად.

დავით ჭაკნელიძე

აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი